

შპს „ნ ფარმა“
ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

1. შპს „ნ ფარმა“ - საერთო ინფორმაცია	13
2. შპს „ნ ფარმა“ - საერთო ინფორმაცია	13
3. შპს „ნ ფარმა“ - საერთო ინფორმაცია	13
4. შპს „ნ ფარმა“ - საერთო ინფორმაცია	13
5. შპს „ნ ფარმა“ - საერთო ინფორმაცია	13
6. შპს „ნ ფარმა“ - საერთო ინფორმაცია	13
7. შპს „ნ ფარმა“ - საერთო ინფორმაცია	13
8. შპს „ნ ფარმა“ - საერთო ინფორმაცია	13
9. შპს „ნ ფარმა“ - საერთო ინფორმაცია	13
10. შპს „ნ ფარმა“ - საერთო ინფორმაცია	13
11. შპს „ნ ფარმა“ - საერთო ინფორმაცია	13
12. შპს „ნ ფარმა“ - საერთო ინფორმაცია	13

შინაარსი

მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი, სააღრიცხვო პოლიტიკა.....	6
3. ფული და ფულის ექვივალენტები	10
4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10
5. სხვა მიმდინარე აქტივები	10
6. ძირითადი საშუალებები.....	11
7. საგადასახადო ვალდებულებები	11
8. მიმდინარე სასესხო ვალდებულება	11
9. საერთო მოგება / (ზარალი).....	12
10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	12
11. მოგების გადასახადი.....	12
12. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ	12

შპს „ნ ფარმა“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის


ქართულ ლარში

მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
ამონაგები	9	5,109,601	5,364,091
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9	(1,857,988)	(2,341,769)
საერთო მოგება / (ზარალი)		3,251,613	3,022,322
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(1,474,577)	(1,344,877)
საკუროსო სხვაობა		(5,145)	251,501
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		1,771,891	1,928,946
მოგების გადასახადის ხარჯი	11	(153,590)	(93,116)
წმინდა მოგება / (ზარალი)		1,618,301	1,835,830
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოვალი		1,618,301	1,835,830

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2024 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი



შპს „ნ. ფარმა“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	3	851,219	599,741
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	2,468,432	2,114,158
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		256,323	608,011
საგადასახადო აქტივი	7	60,311	-
სხვა მიმდინარე აქტივები	5	154,973	129,399
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,791,257	3,451,308
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	924,856	956,071
არამატერიალური აქტივები		2,096	2,546
სულ გრძელვადიანი აქტივები		926,952	958,618
სულ აქტივები		4,718,209	4,409,926
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		106,397	488,339
ანარიცხები		-	-
სხვა ვალდებულებები		7,738	8,983
საგადასახადო ვალდებულება	7	-	20,995
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	8	740,610	783,499
სულ ვალდებულებები		854,745	1,301,816
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი		-	-
დაგროვილი მოგება/(ზარალი)		3,863,464	3,108,110
სულ კაპიტალი		3,863,464	3,108,110
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		4,718,209	4,409,926

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2024 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი



შპს „ნ ფარმა“
 ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	1,772,614	1,772,614
წმინდა მოგება / (ზარალი)	-	1,835,830	1,835,830
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	-	1,835,830	1,835,830
გაცემული დივიდენდი	-	(500,334)	(500,334)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	3,108,110	3,108,110
წმინდა მოგება / (ზარალი)	-	1,618,301	1,618,301
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	-	1,618,301	1,618,301
გაცემული დივიდენდი	-	(862,947)	(862,947)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	3,863,464	3,863,464

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2024 წლის 30 სექტემბრის.

დირექტორი



შპს „ნ ფარმა“
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ნ ფარმა“ (შემდგომში - „კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდით 405187827, დაფუძნდა 2017 წლის 01 თებერვალს, იურიდიულ მისამართზე - საქართველო, 0177 ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. 14ბ, ბ.9, რომლის ფაქტიური მისამართია - საქართველო, თბილისი, პ.კავთარაძის #44.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა ფარმაცევტული და კოსმეტიკური საქონლით.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის დამფუძნებელ პარტნიორთა შორის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

მესაკუთრე	2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მაკა გამისონია	50%	50%
დავით კიკნაძე	50%	50%

კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საშუალოდ დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 23 (2022 წელი: 27).

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი, სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მსს ფასს-თან და მოიცავს შესადარის ინფორმაციას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა (იქნება) გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები, რომლებშიც ასახულია ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები და რომლებიც საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას და კომპლექსურ მიდგომებს, ამავე (მე-2) განმარტებით შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

შპს „ნ ფარმა“
 ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/დანაკარგის ნაწილში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული „სებ“ გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს	2.69	2.98
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს	2.70	2.88

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

	წელი
საოფისე აღჭურვილობა	5-6
ავტო და სხვა ინვენტარი	5-6
სატრანსპორტო საშუალებები	5

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა

შპს „ნ ფარმა“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ექვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

კომპანიის მფლობელობაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები ძირითადად შედგება გასაყიდად გამიზნული ბინებისაგან.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემენახე გაწეულ დანახარჯებს, გადამუშავების დანახარჯებს და ამჟამინდელ მდგომარეობამდე სასაქონლო-მატერიალური მარაგების მისაყვანად გაწეულ ხარჯებს. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოვლენის მიზნით, ყოველწლიურად ხდება არალიკვიდურ მარაგების იდენტიფიკაცია, მოძველებული ერთეულების არსებობის შემთხვევაში, ჩამოიწერება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიაღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღირიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გაველენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმომდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

შპს „ნ ფარმა“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულებს, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

საგადასახადო ვალდებულებები/აქტივები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდეზე. შედეგად 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის, მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

(ა) შემოსავლები ფარმაცევტული საქონლის მიწოდებიდან

შემოსავლები აღიარდება დარიცხვის მეთოდით ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა

(ბ) საოპერაციო ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი ან გაუწია მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის

შპს „ნ ფარმა“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისგან და სალაროში არსებული თანხებისაგან.

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	2,916	32,676
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	82,637	42,081
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	765,666	524,984
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	851,219	599,741

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,468,432	2,114,158
სულ და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2,468,432	2,114,158

5. სხვა მიმდინარე აქტივები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	154,973	129,399
სულ მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები	154,973	129,399

შპს „ნ ღარმა“
 ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

6. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	შენიშვნები	ელექტრონული მოწყობილობები	მსუბუქი ავტომობილები	ავეჯი, ინვენტარი და სხვა	სულ
31 დეკემბერი 2021	-	24,649	87,752	21,514	133,915
შემენა	915,756	11,199	-	12,545	939,500
გასვლა	-	-	(26,200)	-	(26,200)
31 დეკემბერი 2022	915,756	35,848	61,552	34,059	1,047,215
შემენა	-	6,431	35,203	4,730	46,364
გასვლა	-	-	(18,852)	-	(18,852)
31 დეკემბერი 2023	915,756	42,279	77,903	38,789	1,074,727
დაგროვილი ცვეთა					
31 დეკემბერი 2021	-	(15,186)	(15,551)	(9,332)	(40,069)
ცვეთის ხარჯი	(36,877)	(5,223)	(4,250)	(5,817)	(52,167)
გასვლა	-	-	1,092	-	1,092
31 დეკემბერი 2022	(36,877)	(20,409)	(18,709)	(15,149)	(91,144)
ცვეთის ხარჯი	(45,788)	(5,697)	(6,260)	(6,567)	(64,312)
გასვლა	-	-	5,585	-	5,585
31 დეკემბერი 2023	(82,665)	(26,106)	(19,384)	(21,716)	(149,871)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2021	-	9,463	72,201	12,182	93,846
31 დეკემბერი 2022	878,879	15,439	42,843	18,910	956,071
31 დეკემბერი 2023	833,091	16,173	58,519	17,073	924,856

7. საგადასახადო აქტივები / (ვალდებულებები)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს 60,311 ლარის ოდენობის ზედმეტობა საგადასახადო ბარათზე, 2022 წლის 31 დეკემბერს 20,995 ლარის ვალდებულება.

8. მიმდინარე სასესხო ვალდებულება

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
--	----------------------	----------------------

შპს „ნ ფარმა“
 ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

გრძელვადიანი სესხები	740,610	783,499
სულ მიღებული სესხები	740,610	783,499

2023 წელს მიღებულ სესხებზე დარიცხულმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 50,126 ლარი (2022: 30,864 ლარი)

9. საერთო მოგება / (ზარალი)

	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	5,073,275	5,342,367
სხვა შემოსავლები	36,326	21,724
სულ ამონაგები	5,109,601	5,364,091
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,857,988)	(2,341,769)

10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
ხელფასი	824,103	803,295
მედიკამენტების გვერდითი მოვლენების კვლევის ხარჯი	181,944	201,942
რეკლამისა და მარკეტინგის ხარჯები	167,532	60,404
ცვეთა და ამორტიზაცია	64,761	52,617
საპროცენტო ხარჯები	50,126	30,864
მივლინების ხარჯები	42,392	27,811
საოფისე და კომუნიკაციის ხარჯი	37,045	30,471
ავტომობილისა და საწვავის ხარჯები	35,963	36,502
საკონსულტაციო ხარჯები	25,250	26,389
კომუნალური ხარჯები	17,367	12,140
სხვა ხარჯები	28,094	62,442
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,474,577	1,344,877

11. მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

2023 წლის განმავლობაში კომპანიის მოგების გადასახადის ხარჯმა შეადგინა 153,590 ლარი (2022: 93,116 ლარი)

12. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

შპს „ნ ფარმა“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

სააგარშგები პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.